უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 42

20 19 წ. „02“ 12

ქ. თბილისი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 245628496) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 900-ით.
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის №21 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე; ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ნინო ხოლუაშვილი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)
1	ტექსტილის დიზაინი - minor	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	აკრედიტებული
2	სამოსის დიზაინი - minor	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	აკრედიტებული
3	ხელოვნებათმცოდნეობა - minor	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	აკრედიტებული
4	კულტურის მენეჯმენტი - minor	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	აკრედიტებული

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)
1	დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; სამოსის დიზაინი)	ქართული	დიზაინის ბაკალავრი 0803	240	აკრედიტებული
2	არქიტექტურა	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი 1101	240	აკრედიტებული
3	ფერწერა	ქართული	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი 0806	240	ავტორიზებული
4	სამსახიობო ხელოვნება	ქართული	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი 0804	240	აკრედიტებული
5	აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა)	ქართული	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი 0801	240	აკრედიტებული
6	სამოსის დიზაინი	ქართული	დიზაინის მაგისტრი 0803	120	აკრედიტებული
7	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა)	ქართული	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი 0804	120	აკრედიტებული
8	აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა)	ქართული	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი 0801	120	აკრედიტებული
9	ხელოვნებათმცოდნეობა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი 10	240	აკრედიტებული
10	ტელე-რადიო ჟურნალისტიკა	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი 0703	240	აკრედიტებული
11	კულტურის მენეჯმენტი	ქართული	მენეჯმენტის ბაკალავრი 0203	240	აკრედიტებული
12	კულტურული ტურიზმი	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი 1120	240	აკრედიტებული
13	ხელოვნების მენეჯმენტი	ქართული	ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი 020302	120	აკრედიტებული
14	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნობა)	ქართული	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი 1007	120	აკრედიტებული
15	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	აკრედიტებული
16	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სომხურენოვანთათვის/აზერბაიჯანულენოვანთათვის	ქართული	არ ენიჭება კვალიფიკაცია	60	ავტორიზებული
17	სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური	ქართული	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი 0805	240	აკრედიტებული

	სიმღერა; აკადემიური გუნდის დირიჟორობა; საორკესტრო)				
18	სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)	ქართული	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 0805	120	აკრედიტებული